საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი 05.01.2017

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ელიზბარ ელიზბარაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის თანადირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის მთავარი მკვლევარი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
მანანა მიქაბერიძე - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
გიორგი მუსხელიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი;
ლაშა ლაბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:
ლევან მადათოვი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
თამარ ვეფხვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნოდარ ხადური - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი;
ნატალია ბარათელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლაშა ლაბაძე - ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელი;
სოფიო გუჯაბიძე - ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სტუდენტთა დეკანი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
დავით აფრასიძე - რექტორის მოადგილე;
ნინო პატარაია - ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;
მარიამ კიკნაველიძე - ბიზნესის ფაკულტეტის კურიკულუმის ექსპერტი;
ნიკოლოზ კაკელაშვილი - ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
მიხეილ ბატიაშვილი - რექტორი;
მაია ნონიაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
ნინო ენუქიძე - დეკანი;
გიორგი ბასილაია - დეკანის მოადგილე;
ბერიკა შუკაკიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ციური დურული;
ნანა შონია;
გიორგი ღაღანიძე;
გოჩა თუთბერიძე;
ვასილ კიკუტაძე;
მანანა ხაჩიძე;
კახაბერ თავზარაშვილი.

სხდომა 14:16 საათზე დაიწყო. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მდივნის მოვალეობის შეასრულა ნათელა სახოკიამ. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ტურიზმი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ეკონომიკა
სწავლების ენა: ინგლისური
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა თვითაცილება, ვინაიდან ის წარმოადგენდა აკრედიტაციის მაძიებლის აკადემიურ პერსონალს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს აკრედიტაციის ექსპერტებმა - ციური დურულმა და ნანა შონიამ.

მათ აღნიშნეს, რომ პროგრამა იყო ძალიან საინტერესო და მრავალი ძლიერი მხარე გააჩნდა. კერძოდ, პროგრამას ჰქონდა ძლიერი მათემატიკური ნაწილი და ჰყავდა 3 წარმატებული და სფეროში გამორჩეული პროფესიონალი ხელმძღვანელი. პროგრამა შედგებოდა 240 კრედიტისგან და დაკომპლექტებული იყო მრავალი მათემატიკური საგნით. ექსპერტებმა დამატებით აღნიშნეს, რომ ამავე დაწესებულებაში ISET-ის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზეც იყვნენ ვიზიტზე რამდენიმე წლის წინ, რომლის ფარგლებშიც შეხვდნენ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, რომელთა ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამას ჰქონდა 100%-იანი დასაქმების მაჩვენებელი. ექსპერტებმა საბჭოს მოახსენეს, რომ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ჰქონდათ ცალკე სამუშაო ოთახი, სადაც შესაძლებელი იყო სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. ბიბლიოთეკა გვიანობამდე იყო ხელმისაწვდომი, როგორც პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვისაც.

ექსპერტებმა საბჭოს წევრებს წარუდგინეს დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

1. სასწავლო გეგმით გაწერილი იყო სასწავლო კურსების სწავლება სემესტრების მიხედვით. სასურველი იქნებოდა, სემესტრები მითითებულიყო სილაბუსებშიც.

2. საბაკალავრო ნაშრომი, მოცულობით 15 ECTS კრედიტი, სასწავლო გეგმით, გათვალისწინებული იყო მე-8 სემესტრში, მასზე დაშვების წინაპირობა იყო: „აკადემიური წერა", „მიკროეკონომიკა 2" და „მაკროეკონომიკა 2". ექსპერტების მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა, აღნიშნულ კომპონენტზე დაშვების წინაპირობად დამატებოდა „ეკონომიკური პროგნოზირება".

3. პროფესიული სტაჟირება, მოცულობით 10 ECTS კრედიტი, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო მე-8 სემესტრში. მასზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენდა „მიკროეკონომიკა 2“ და „მაკროეკონომიკა 2“. სასურველი იქნებოდა, დაშვების წინაპირობად დამატებოდა „ეკონომეტრიკა 2“.

საბჭოს წევრი ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა, სად განხორციელდებოდა პროგრამა და რამდენი კურსდამთავრებული ჰყავდათ. ექსპერტებმა უპასუხეს, რომ აღნიშნული პროგრამა ქ. თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე განხორციელდებოდა. აღნიშნულ მისამართზე არსებული შენობა იყო კეთილმოწყობილი და აღჭურვილი იყო ყველა იმ ინვენტარიც რას საჭირო იყო პროგრამის განხორციელებისთვის. ექსპერტთა განმარტებით, ასევე დაწესებულების მიერ მზადდებოდა მაღლივი კორპუსის მეთორმეტე სართული. რაც შეეხებოდა კურსდამთავრებულებს, პროგრამა იყო ახალი, შესაბამისად ჯერ-ჯერობით კურსდამთავრებულები არ ჰყავდა. ISET-ის სკოლის კურსდამთავრებულების რაოდენობა კი იყო 300.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, თამარ ვეფხვაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, ცენტრს, იმისთვის, რომ გაითვალისწინა შუამდგომლობა და აკრედიტაციის ფანჯრებს გარეთ განიხილა საკითხი. მან ასევე ხაზი გაუსვა ISET-ისა და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ 2006 წლიდან ფუნქციონირებდა ეს სკოლა, გამოზრდილი ჰყავდა ბევრი კვალიფიციური კადრი, არსებობდა საბაკალავრო პროგრამის შემუშავების მოთხოვნაც, პროგრამაში ჩართულნი იყვნენ ფაკულტეტის წამყვანი პროფესორები.

თამარ ვეფხვაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, აღნიშნა, რომ იზიარებდნენ რეკომენდაციებს, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო განიხილავდა შესაბამის ცვლილებებს უახლოეს სხდომაზე.

პროგრამის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ პროგრამამ გაამართლა და საკმაოდ ბევრ სტუდენტს ელოდებოდნენ. მისი თქმით, 10 წელი მოღვაწეობდა ამ მიმართულებით და ამ ხნის განმავლობაში დიდი შრომა იყო გაწეული. მოძიებულ იქნა პროგრამის ანალოგები სხვადასხვა ქვეყნებში, პროგრამაში ჩართეს დარგის ცნობილი პროფესორები არამხოლოდ საქართველოდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც. შესაბამისად, პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში დიდი ადამიანური და მატერიალური რესურსი იქნა ჩადებული.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია, დაინტერესდა რა კონტიგენტს ელოდებოდნენ აღნიშნულ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა გამიზნული იყო როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებზე. პირველ ეტაპზე ფიქრობდნენ 50 სტუდენტის მიღებას. აკრედიტაციის ექსპერტმა, ციური დურულმა განაცხადა, რომ ეროვნულ გამოცდებზე, წინაპირობის სახით ითხოვდნენ მათემატიკის ჩაბარებას და ზღვარი ჰქონდათ დაწესებული 64% + 1 - ის ოდენობით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, რა მდგომარეობა იყო იგივე ქართულენოვან პროგრამაზე. თამარ ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ მიმართულება სახელმფიწოს მიერ იყო დაფინანსებული, უნივერსიტეტს ვალდებულება ჰქონდა 400 ადგილის გამოცხადებისა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად დიდი კონკურსი იყო. მისი თქმით, მინიმალური ზღვრების დაწესების პრაქტიკა 2012 წლიდან დანერგეს და ყოველწლიურად ზრდიდნენ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ინგლისური ენის ცოდნის დადასტურების საკითხით, პროგრამაში მითითებული იყო B1 დონის ფლობა და როდესაც ლიტერატურა ინგლისურენოვანი იყო, რამდენად იქნებოდა ეს საკმარისი. დაწესებულების წარმომადგენელმა, ლაშა ლაბაძემ, აღნიშნა, რომ ეს იყო მინიმალური დონე, თუმცა პირველ და მეორე კურსებზე

ისწავლებოდა ინგლისური. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, თავდაპირველ ეტაპზე B1 დონე დამაკმაყოფილებლად მიაჩნდათ.

საბჭოს წევრებმა კითხვით მიმართეს დაწესებულების წარმომადგენლებს, უცხოელ პედაგოგებთან დაკავშირებით, რა ხანგრძლივობით ჩამოდიოდნენ ისინი საქართველოში. ლაშა ლაბაძემ აღნიშნა, რომ მოწვეული უცხოელი ლექტორები იყვნენ რეზიდენტები და მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოში. მათთვის გამოყოფილი იყო 4 სასტუმროს ტიპის ოთახი.

საბჭოს თავმჯდომარე ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა რაოდენობა თუ იყო დაწესებული ცალკე ქართველი და ცალკე უცხოელი სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ საერთო მისაღებ რაოდენობას მოიაზრებდნენ 50 სტუდენტის ოდენობით, ხოლო ცალ-ცალკე დადგენილი არ ჰქონიათ ქართველი და უცხოელი სტუდენტების რაოდენობა.

დამატებითი კითხვები საბჭოს წევრებს არ ჰქონიათ.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ტურიზმი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება (ტურიზმი, მენეჯმენტი)
სწავლების ენა: ინგლისური
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი
კრედიტების რაოდენობა: 240
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: 1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში;
2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ განაცხადა თვითაცილება, ვინაიდან ის წარმოადგენდა აკრედიტაციის მაძიებლის აკადემიურ პერსონალს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს აკრედიტაციის ექსპერტებმა გიორგი ღაღანიძემ და ციური დურულმა. მათ აღნიშნეს, რომ ვიზიტმა დადებით ატმოსფეროში ჩაიარა, დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელეს, მთლიანად პროგრამა, მისი აგებულება, სტრუქტურა, განაწილება კრედიტების, მოდიოდა შესაბამისობაში დადგენილ მოთხოვნებთან, თუმცა, რამდენიმე მცირე საკითხი დაზუსტდა, მაგალითად - თვითშეფასების ანგარიშში კვალიფიკაციის კოდი არასწორად იყო მითითებული, რაც ვიზიტის პერიოდშივე გასწორდა.

ექსპერტებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. სასურველი იქნებოდა, პროგრამის კურსდამთავრებულები სავალდებულო სასწავლო კურსებით დაუფლებოდნენ ინგლისური ენის ერთსა და იმავე დონეს.
2. უმჯობესი იქნებოდა, მენეჯმენტის კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსების - ფინანსური ბაზრების, საბანკო საქმის საფუძვლების, საბანკო ქეისების, საერთაშორისო ეკონომიკის, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის თავისუფალ სასწავლო კურსებად/კრედიტებად მოაზრება;
3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში, კვალიფიკაციის კოდად მითითებული უნდა ყოფილიყო 02, ნაცვლად -0203, 1120;
4. სასურველი იქნებოდა, წარმოდგენილი პროგრამისთვის გაკეთებულიყო ფინანსური უზრუნველყოფის ამსახველი ფინანსური გეგმა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, დავით აფრასიძემ დაადასტურა ექსპერტების ნათქვამი პროფესიული დისკუსიების შესახებ და მადლობა გადაუხადა, რადგან ბევრი რამე ნათელი გახდა კომუნიკაციის შემდეგ. საინტერესო იყო გარე შეფასებები, რაც დაეხმარა პროგრამას დახვეწაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო. პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენდა უცხოელი სტუდენტების მოზიდვა. პროგრამა დააკომპლექტეს ამერიკულ და ევროპულ სისტემაში არსებული კურსებით.

ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად, ის ხუთი კურსი ამოღებულ იქნა, ბიუჯეტთან მიმართებით შედგენილი ჰქონდათ ფინანსური გეგმა და წარმოადგინეს 10 და 15 სტუდენტის მიღების შემთხვევაში გაწერილი ფინანსური გეგმა. უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, თავდაპირველად შეღავათი იქნებოდა სწავლის გადასახადზე, თუმცა შემდეგ გაიზრდებოდა და წლიური საფასური შეადგენდა 3000 დოლარს.

კოდთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში მითითებული იყო სტანდარტული კოდი, თუმც,ა დაზუსტდებოდა მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების კოდი და ეს ცვლილება აისახებოდა ბაზაშიც.

ექსპერტმა, ციური დურულმა განაცხადა, რომ თავდაპირველად პროგრამაზე არ მოხდებოდა მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდებით, კერძოდ პროგრამაზე მოხდებოდა მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღება. ექსპერტმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ეს იყო დაწესებულების ბიზნეს სტრატეგია, ძირითადი ბაზა სურდათ ჯერ შექმნილიყო უცხოელი სტუდენტებისგან.

საბჭოს წევრი, გიორგი მუსხელიშვილი, დაინტერესდა, რა განსხვავება იყო ხარისხის თვალსაზრისით და შინაარსობრივად ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან და ქართულენოვან პროგრამებს შორის. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნული პროგრამის დანერგვა დაწესებულების პრესტიჟის საკითხს წარმოადგენდა, გარდა ამისა, მცირეკონტინგენტიან პროგრამაზე ლექტორები უფრო კონცენტრირებულები იქნებოდნენ.

საბჭოს წევრმა, მანანა მიქაბერიძემ, დაწესებულების წარმომადგენლებს რეკომენდაციით მიმართა, არ ჩაეკეტათ ქართველი სტუდენტებისთვის გზა, რადგან დაკარგავდნენ ძალიან კარგ სტუდენტებს.

ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, წინა სააკრედიტაციო წარმოების დროს უარი რის გამო ეთქვა პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე. დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ უპასუხა, რომ უარის თქმის საფუძველი იყო არასაკმარისი რაოდენობის აკადემიური პერსონალის ჩართულობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმ პერიოდში პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო 9 აკადემიური პერსონალი, ამჟამად კი - 15.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ტურიზმი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ტურიზმი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ.

3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)
სწავლების ენა: ქართული
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ გიორგი ღაღანიძე, ვასილ კიკუტაძე და გოჩა თუთბერიძე. ექსპერტებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 მუხლის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით: ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; გ) ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ მიზანშეწონილი იყო საგანმანათლებლო პროგრამას შეეთავაზებინა სტუდენტებისთვის მეტი არჩევანი. ამ მიზნით, კარგი იქნებოდა, თუ სტუდენტებს უნივერსიტეტი შესთავაზებდა რამდენიმე დამატებით პროგრამას, საიდანაც სტუდენტებს ექნებოდათ საშუალება, აერჩიათ მათთვის სასურველი საგნები. ასევე, მიზანშეწონილი იყო შემცირებულიყო ზოგადი მოდულის მოცულობა და მის ხარჯზე გაზრდილიყო თავისუფალი კრედიტების მოდული;

2. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სხვადასხვა დისციპლინაში ნაწილობრივ იყო გათვალისწინებული მაკროეკონომიკის პრინციპების საკითხები, სასურველი იქნებოდა, აღნიშნული დისციპლინა ცალკე ყოფილიყო შეთავაზებული პროგრამის სავალდებულო დისციპლინის სახით.

3. სასურველი იქნებოდა, სტუდენტებს არჩევითი დისციპლინების სახით ჰქონოდათ შეთავაზებული პროფესიული ინგლისური, მაგალითად ბიზნეს ინგლისური (1, 2) და მეორე ევროპული სამეცნიერო ენა, რომელსაც სურვილის შემთხვევაში აირჩევდნენ სტუდენტები.

4. სასურველი იქნებოდა, პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია/დაზუსტება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის მიხედვით უფრო დეტალურად, რაც გაამარტივებდა მათ აღქმას სტუდენტებისთვის და სამომავლო დამსაქმებლებისთვის.

5. მიზანშეწონილი იყო პროგრამით გათვალისწინებული მათემატიკა 1 და მათემატიკა 2 დისციპლინები დაყოფილიყო: კალკულუსის, წრფივი ალგებრის და ალბათობის თეორიის სახით, შესაბამისად, წაკითხული ყოფილიყო სამი კურსი, ხოლო პროგრამის არქიტექტურის შენარჩუნების მიზნით, მომხდარიყო გადანაწილება სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა ვიზიტის პერიოდში, ადგილზევე გამოსწორდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამას დაემატა ბიზნეს ინგლისური. უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, რომ დასკვნიდან წარმოდგენილი ყველა რეკომენდაცია იყო გაზიარებული, გასწორებული და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადმოგზავნილი იყო ცენტრში.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა უნივერსიტეტის ადგილმდებარეობით. დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ შენობა მდგებარეობდა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის №82-ში. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება ფლობდა საკმაოდ დიდ ინფრასტრუქტურას და დაწესებულებაში ხორციელდებოდა ორი - ბიზნესისა და ტექნოლოგიების მიმართულების პროგრამები.

საბჭოს წევრმა ნინო ჩინჩალაძემ კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით. წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ავტორიზაციის დროს, სტუდენთა საერთო რაოდენობა განესაზღვრათ 2000-ით. მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი იყო ცნობილი ორგანიზაციების პრაქტიკოსების ჩართულობა, რისთვისაც 140 მემორანდუმი ჰქონდათ გაფორმებული, როგორც ქართულ, ასევე, უცხოურ კომპანიებთან, მათ შორის, მერსედესთან, მაიკროსოფტთან და ა.შ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობის წინაშე ჰქონდათ აღებული ვალდებულება - განეხორციელებინათ 18 მილიონის ინვესტირება 6 წლის განმავლობაში, იგეგმებოდა საერთო საცხოვრებლის აშენება. მან დაამატა, რომ სიჩქარე არ სურდათ, რათა ხარისხზე არ ემოქმედა ნაადრევ გადაწყვეტილებებს.

საბჭოს წევრი მანანა მიქაბერიძე დაინტერესდა რამდენ სტუდენტზე იყო გათვლილი პროგრამა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 700 სტუდენტისთვის იყო მოაზრებული. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ჯანდაცვის სამინისტროსთან იყო გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა გარე კადრების მომზადებას. სამი პროგრამა იქნებოდა დაფინანსებული, სტუდენტებს წვდომა ექნებოდათ ყველა ლაბორატორიასთან, მოპოვებული იყო გარე ბაზები ტექნოლოგიების მიმართულებით, რაც საშუალებას იძლეოდა დისტანციურად მუშაობისთვისაც.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია, დაინტერესდა კარიერული განვითარების ცენტრით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცალკე სამსახურს წარმოადგენდა კარიერული დაგეგმარება და უნდა მოეაზრებინა პირველივე დღიდან სტუდენტის მხარდაჭერა, რათა სტუდენტს დაეგეგმა, რა მიმართულებით სურდა წასვლა. ამაში დაეხმარებოდა გაწეული კონსულტაციები, რაც ითვალისწინებდა პროფესიის შესახებ ინფორმაციის მიღებას, პორტფელების შედგენას, სადაც თავმოყრილი იქნებოდა სტუდენტების ნამუშევრები და ყველანაირი საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფას. მან დაამატა, რომ საკმაოდ ბევრი კომპანია იყო უკვე ჩართული, მათ თვითონ ჰქონდათ მოტივაცია, წაეყვანათ საუკეთესო კადრები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა მოსაზრება გამოთქვა, რომ ამ და სხვა პროგრამას შორის, რომელსაც განიხილავდნენ მომდევნო საკითხად, ბევრი საერთო სასწავლო კურსი ჰქონდათ, არადა კვალიფიკაცია სხვადასხვა ენიჭებოდა 7 საგნის სხვაობით, რაც ასევე, შესაძლოა გაკეთებულიყო ერთი პროგრამის ფარგლებში კონცენტრაციით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არჩევით საგნებშიც იყო განსხვავება და სასწავლებელი აძლევდა სტუდენტს საშუალებას, აერჩიათ საგნები წმინდა თავისი მიმართულებიდან. თუმცა, ეტაპობრივად იგეგმებოდა პროგრამის გამდიდრება. მათ იმსჯელეს კონცენტრაციის ვარიანტზეც, თუმცა საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ცალ-ცალკე პროგრამის განხორციელებაზე. ერთ-ერთ უცხოურ უნივერსიტეტთანაც ჰქონდათ გეგმა, შეექმნათ ერთობლივი პროგრამა, შესაბამისად, ეს წარმოადგენდა ერთ-ერთ მიზეზს, რატომაც სურდათ ცალკე პროგრამის გამოტანა, რათა არ შექმნოდათ დისკომფორტი მომავალში უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობაში.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ სწავლის გადასახადით. ექსპერტებმა უპასუხეს, რომ სწავლის საფასური შეადგენდა 2250 ლარს.

საბჭოს წევრმა გიორგი მუსხელიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, მისიაში კონკურენციის შესახებ იყო აღნიშნული, თუმცა თუ ქართულ ენაზე იქნებოდა სწავლება, ბუნდოვანი იყო რა კონკურენციას გულისხმობდნენ და ამის განმარტება სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ინგლისურ ენას გაძლიერებულად ასწავლიდნენ, გარდა ამისა ენების ბლოკზე მუშაობას კიდევ გეგმავდნენ, თუმცა პირველ ეტაპზე არ უნდოდათ შეეზღუდათ კონტიგენტი, თუმცა მომავალში ასევე აპირებდნენ ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელებასაც. მათ დაამატეს, რომ რამდენიმე ორგანიზაცია მზად იყო, სტიპენდიის დასაწესებლად, მაგალითად პალიტრა ჯგუფი, რათა სტუდენტებს ჰქონოდათ მოტივაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)
სწავლების ენა: ქართული
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფი იგივე შემადგენლობით იყო დაკომპლექტებული - გიორგი ღაღანიძე, ვასილ კიკუტაძე და გოჩა თუთბერიძე. მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 მუხლის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით: ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; გ) ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ მიზანშეწონილი იყო საგანმანათლებლო პროგრამას შეეთავაზებინა სტუდენტებისთვის მეტი არჩევანი. ამ მიზნით, კარგი იქნებოდა, თუ სტუდენტებს უნივერსიტეტი შესთავაზებდა რამდენიმე დამატებით პროგრამას, საიდანაც სტუდენტებს ექნებოდათ საშუალება, აერჩიათ მათთვის სასურველი კომბინაცია.

2. პროგრამის სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა მათემატიკის სწავლებას 10 კრედიტის მოცულობით, სადაც მათემატიკა 2 მოიცავდა ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკასაც. ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო პროგრამის მათემატიკური აპარატის რაოდენობრივი კომპონენტების წილი და მას დამოუკიდებელი კომპონენტის სახით დამატებოდა „ალბათობის თეორია და მათემატიკა“ 5 კრედიტის მოცულობით.

3. გარდა ამისა, პროგრამის სასწავლო გეგმაში არ იყო გათვალისწინებული მაკროეკონომიკის ელემენტების სწავლება, რაც ფინანსების მიმართულებით მიზანშეუწონლად

მიაჩნდათ ექსპერტებს, შესაბამისად, კარგი იქნებოდა მინიმუმ „მაკროეკონომიკის პრინციპების“ დამატება 5 კრედიტის მოცულობით.

4. სასურველი იქნებოდა, სტუდენტებს არჩევითი დისციპლინების სახით ჰქონოდათ შეთავაზებული პროფესიული ინგლისური, მაგალითად ბიზნეს ინგლისური (1, 2) და მეორე ევროპული სამეცნიერო ენა, რომელსაც სურვილის შემთხვევაში აირჩევდნენ სტუდენტები.

5. სასურველი იქნებოდა, პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის მიხედვით უფრო დეტალურად.

6. სასურველი იქნებოდა, დაზუსტებულიყო კომპეტენციების რუკა.

საბჭოს თავმჯდომარემ ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა საკონტაქტო საათების გადანაწილების წესით, რადგან იშვიათი მაგალითი ჰქონდათ წარმოდგენილი. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხა, რომ სილაბუსებს ადგენდნენ ინდივიდუალურად, თითოეული ლექტორი ინტენსიურად მუშაობდა ამ საკითხებზე და რა დრო შეიძლებოდა დასჭირვებოდათ პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე და არ აიღეს სტანდარტული მიდგომა. ასევე, შემცირებულიყო ზოგადი მოდულის მოცულობა და მის ხარჯზე გაზრდილიყო თავისუფალი კრედიტების მოდული.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია იყო გამოსწორებული და შესაბამისი დოკუმენტაცია იყო წარმოდგენილი ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
სწავლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი
კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, გიორგი ღაღანიძემ, გოჩა თუთბერიძემ და ვასილ კიკუტაძემ. ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ როდესაც ახალი უნივერსიტეტი იხსნებოდა და სურდა სადოქტორო პროგრამების განხორციელება, შეფასების დროს ექსპერტებისათვის მთავარი იყო დაწესებულების კონცეპტუალური ხედვა. საინტერესო და მოსაწონი აღმოჩნდა პროგრამის არქიტექტურა, გათვალისწინებული იყო საინტერესო მოდელი, ქართველი პროფესორი, მოწვეული უცხოელი პროფესორი და დამხმარე ხელმძღვანელი რომელიც წარმოადგენდა დარგს. ის ფაქტი, რომ ბიზნესის წარმომადგენელი იქნებოდა ერთ-ერთი ხელმძღვანელი, კვლევას მისცემდა უფრო მეტ რეალიზებას, არ დაიწერებოდა წმინდა თეორიული ასპექტების მქონე სადოქტორო ნაშრომი და არ იქნებოდა გამართლება, რომ ინფორმაცია ვერ მოიპოვეს. მოცემული დროისათვის ერთ ამერიკელ პროფესორთან თანამშრომლობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ახალი უნივერსიტეტი იყო, ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნდათ, რომ დაწესებულებას შესწევდა უნარი მოემზადებინა რამდენიმე დოქტორანტი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შესაბამის სილაბუსებში შეტანილი ყოფილიყო უნივერსიტეტის ის აკადემიური პერსონალი (ან მოუწვეული ყოფილიყო სხვა პერსონალი) რომლებსაც ჰქონდათ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. ამასთან, არსებული პერსონალის მიერ სადოქტორო ხარისხის მიღების შემდეგ მათი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელი იქნებოდა.

- მიზანშეწონილი იყო, დაჩქარებულიყო მემორანდუმის გაფორმება დასავლეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სიტყვიერი მოლაპარაკების პროცესი მკვლევარ პროფესორებთან დასრულებულიყო ფორმალური კონტრაქტების გაფორმებით.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა სამაგისტრო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით, რა გეგმები ჰქონდათ. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორიზაცის დროს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებას და გასწორებას გარკვეული დრო დასჭირდა და დაგვიანდა აკრედიტაციის განაცხადის გაკეთება, თუმცა უკვე გაკეთებული იყო სააკრედიტაციო განაცხადი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე და ელოდებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტს. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ერთი ან ორი დოქტორანტის მიღებას გეგმავდნენ, რადგან ეს უნივერსიტეტის პრესტიჟი იყო.

საბჭოს თავმჯდომარე ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა სადოქტორო ნაშრომის დაცვის პირობებზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით მოთხოვნები პუბლიკაციების სახით იყო წარმოდგენილი, სტანდარტულად, მათ შორის, ერთი რეფერირებად ჟურნალში.

საბჭოს წევრი, მანანა მიქაბერიძე, დაინტერესდა, როგორ ხდებოდა დისერტაციის შეფასება შიდა თუ გარე ექსპერტების ჩართვით. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოწვეულნი იქნებოდნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები. დისერტაციის თემიდან გამომდინარე გადაწყდებოდა ადგილობრივი სპეციალისტები შეაფასებდნენ მას, თუ მოიწვევდნენ სხვა უნივერსიტეტიდან.

საბჭოს წევრი გიორგი მუსხელიშვილი დაინტერესდა გარე შემფასებელი საქართველოს სხვა უნივერსიტეტის წარმომადგენელი იგულისხმებოდა თუ საზღვარგარეთის უნივერსიტეტების. უცხოელი შემფასებლის შემთხვევაში, როგორ შეაფასებდა ის ქართულ ნაშრომს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პირველ რიგში პუბლიკაცია განიხილებოდა, შეფასებას არც ბიზნესის წარმომადგენელი წერდა არც უცხოელი შემფასებელი, არამედ ადგილობრივი თანახელმძღვანელი.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა რით განსხვავდებოდა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამები ერთმანეთისაგან, ტექნიკურად, სიღრმისეულად. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სადოქტორო პროგრამაში იყო უფრო სიღრმისეული კვლევა და კვლევის განსხვავებული მეთოდები გამოიყენებოდა.

საბჭოს წევრმა მანანა მიქაბერიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ სადოქტორო ნაშრომისთვის განკუთვნილი სამი სემესტრი ცოტა იყო. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შეზღუდვა ამასთან დაკავშირებით არ არსებობდა, ასევე, მათი მოსაზრებით, ეს დრო საკმარისი იყო, მითუმეტეს, როდესაც გარკვეული ნაწილები მანამდე ისედაც ინტეგრირებული იყო პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: საინფორმაციო ტექნოლოგიები
სწავლების ენა: ქართული
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ მანანა ხაჩიძე და კახა თავზარაშვილი. მათ აღნიშნეს, რომ პროგრამას დადებითად აფასებდნენ და დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. სასურველი იყო, პროგრამის სწავლის შედეგები (ასევე სილაბუსებშიც) გაწერილიყო კონკრეტულად, რათა აბიტურიენტებისთვის და სტუდენტებისთვის და დამსაქმებლებისთვის უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო სწავლის შედეგები.

2. სასურველი იქნებოდა, დამატებითი სპეციალობის მოდული ყოფილიყო არჩევითი. პროგრამის აღწერაში უნდა მითითებულიყო დამატებითი სპეციალობის შესახებ. თუ დამატებითი სპეციალობა სავალდებულო მოდულად დარჩებოდა, მაშინ ეს ცალსახად უნდა მითითებულიყო პროგრამის განხორციელების თავისებურებებში. სასურველი იქნებოდა, სტუდენტს მისცემოდა არჩევანის საშუალება, რათა საკუთარი ინტერესების მიხედვით შეძლებოდა სასურველი კომპეტენციების გაღრმავება.

3. სასურველია, უფრო კონკრეტულად გაწერილიყო შეფასების კრიტერიუმები.

4. სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო მათემატიკის სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა ან პროგრამის მიღების წინაპირობაში განსაზღვრულიყო მათემატიკის გამოცდის სავალდებულო მინიმალური მნიშვნელობა. აუცილებელი იყო, მათემატიკის საგნები მითითებულიყო წინაპირობად სპეციალობის იმ საგნებს, სადაც მოითხოვებოდა მათემატიკის კომპეტენციები. სასურველი იქნებოდა, დამატებულიყო საგანი - დისკრეტული მათემატიკა.

5. რიგი საგნების სილაბუსებში, სასურველი იქნებოდა ინგლისურენოვანი ლიტერატურა მითითებულიყო, როგორც ძირითადი ლიტერატურა და ამ საგნების წინაპირობად დამატებოდა ინგლისური ენის შესაბამისი დონის ცოდნა სასწავლო კურსების მითითებით.

6. სასურველი იქნებოდა, ზოგიერთი კურსის სახელწოდება თანხვედრაში მოსულიყო მის შინაარსთან (ელექტრონიკა და რობოტიქსი, კომპიუტერული გრაფიკა).

7. სასურველი იყო, პროგრამაში გათვალისწინებული ყოფილიყო შემაჯამებელი პროექტის, ან საბაკალავრო ნაშრომის შესრულება.

8. აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებებში დაფიქსირებული იყო, რომ ხელშეკრულება ძალაში შევიდოდა პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა არააკრედიტებულ რეჟიმში სასწავლო პროცესის განხორციელებასთან. სასურველი იქნებოდა, ხელშეკრულებებში დაფიქსირებულიყო კონკრეტული ვადები და მითითებოდა აკადემიური პერსონალის კონკრეტული მიმართულებით (მაგ. ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაში მონაწილეობა) ვალდებულებები.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინეს, დაამატეს მათემატიკის ორი საგანი, გასწორდა ინგლისური ენის წინაპირობაც.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, რა დატვირთვა ჰქონდა B2 დონის მითითებას მხოლოდ ერთი სასწავლო კურსისთვის, როდესაც პროგრამასაც სჭირდებოდა იგივე დონის კომპეტენციას. ექსპერტმა, კახა თავზარაშვილმა აღნიშნა, რომ არჩევითი საგნის შემთხვევაში შესაძლოა საჭირო ყოფილიყო დონის მითითება, სავალდებულოებზეც, თუმცა მანამდე ინგლისურ ენას სწავლობდნენ სტუდენტები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უზუსტობები გამოსწორებული იყო და გაითვალისწინეს ექსპერტების რჩევები, სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება აერჩიათ თავისუფალი კრედიტები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა ექსპერტებს მიმართა კითხვით, დაედასტურებინათ ლაბორატორიული ბაზის არსებობა და შესაბამისობა, რადგან საინჟინრო მიმართულებისთვის ეს გადამწყვეტი ფაქტორი იყო. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ამ პროგრამას კომპიუტერები სჭირდებოდა, რადგან პროგრამირებას ასწავლიდნენ და საკმარისი იყო ეს რესურსი, რაოდენობრივად უფრო მეტიც კი იყო, ვიდრე სტუდენტებს დასჭირდებოდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 16:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი
ნათელა სახოკია